პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი კვირა 15 აპრილი № 88 (17433) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ჩვენი პარტიის მგზნებარე სიტყვა

ბრიდევ ნახევარი თვე და ჩვენი ქვეყანა მაისის დიდ დღესასწაულს შეეგებება. შეეგებება იგი ალისფერი დროშების ტყეებით, ყვავილებით, საგაზაფხულო ღიმილით და, რაც მთავარია, ახალი შრომითი მიღწევების პატაკებით.

ამ დღეს მთელი პლანეტის მილიონობით მშრომელი, ყველა კეთილი ნების ადამიანი მწყობრი ნაბიჯებით, ტრანსპარანტებით და ლოზუნგებით გავა ქუჩებსა და მოედნებზე... პირველი მაისი ხომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეა!

და აი, გაზაფხულის ამ ხალისიან დღეებში, ტრადიციისამებრ, მთელი მსოფლიოს გასაგონად ხმამაღლა, ხალხთა ყველა ენაზე გაისმა ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მონოდებათა გულში ჩამწვდომი ხმა. ეს ხმა კიდევ უფრო გვამხნევებს, გვრაზავს და სიძნელეებთან შეუპოვარი ბრძოლისათვის, ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის განგვაწყობს.

საბჭოთა ადამიანების გულებში მხურვალე გამოხმაურებას პოულობს სიტყვები:

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, განვითარებული სოციალიზმის შესაძლებლობათა სრული რეალიზაციისათვის!

დღესასწაულისათვის სამზადისს მუდამ თან ახლავს ხოლმე ამაღლებული განწყობილება, მდინარის ტალღასავით აზვირთებული შრომითი და პოლიტიკური აქტიურობა. მაგრამ ეს წინასამაისო დღეები მაინც განსაკუთრებულია. ახლა ჩვენი სამშობლოს მიწაზე ყველგან შრომის ნამდვილი ზეიმია, რომელიც უფრო დაამშვენა, ახალი შინაარსით შეავსო პირველი ხუთწლედის 50-ე წლისთავმა და მოახლოებულმა ლენინურმა კომუნისტურმა შაბათობამ.

და აი, 70-იანი წლების ყველა თაობამ, რომლებმაც დიდი შრომითი ესტაფეტა პირველი შაბათობებისა და პირველი ხუთწლედების მონაწილეებისაგან მიიღეს, შეათე ხუთწლედის საპატიო გეგმები ალალი და ვაჟკაცური გარჯვით უნდა დააგვირგვინონ.

ამ საერთო გარჯასა და რუდუნებაში კი ცოტა როდია საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წვლილი. ზედიზედ მეექვსედ საკავშირო გარდამავალი დროშის მოპოვება — ეს ექვსი დიდი საფეხურის გავლის, ექვსი დიდი გამარჯვების ჭეშმარიტი დასტურია. გამარჯვებათა პატაკები დაუსრულებლად გაისმის ამ დღეებშიც, მაუწყებელი იმისა, რომ საქართველოს მშრომელები ღირსეულად დგანან საპირველმაისო შრომის ვახტზე და არც წლეულს აპირებენ დათმონ მოწინავის სახელი ჩვენს ერთიან, ძმურ საბჭოთა ოჯახში გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ხალხთა ძმობის დუღაბი ხომ ჩვენი საერთო წინსვლის, წარმატების საფუძველი და სიძლიერეა. ეს ერთხელ კიდევ აისახა ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში და ჩვენი რესპუბლიკის ძირითად კანონში, რომელიც დღეიდან თავისი ცხოვრების, მუშაობის, მოქმედების მეორე წელში გადადგა.

— გაუმარჯოს ჩვენი სოციალისტურ სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ძმურ მეგობრობასა და ურყევ ერთიანობას!

საბჭოთა საქართველოს მშრომელთა პატრიოტული მისწრაფება, რომ რაც შეიძლება ზარდონ, ამრავლონ ქვეყნის დოვლათი, ხვავი და ბარაქა, რომ უფრო მეტი და მეტი ნვლილი შეიტანონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა ნარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში, ნათლად ვლინდება იმ სასარგებლო ინიციატივებსა და წამონყებებში, რომელთა დევიზია — უწამორჩენილებოდ მუშაობა, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება, სამუშაო ფართობების მაქსიმალური დატვირთვა, ახალი რეზერვების გამოძებნა და ამოქმედება.

ხშირად ვამბობთ, კომუნიზმისათვის ბრძოლის მთავარი სარბიელი ეკონომიკაა. სწორედ ამიტომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მონოდებანი სამრეწველო კოლექტივებს მიზნად უსახავს უფრო სწრაფად აითვისონ და ეფექტიანად გამოიყენონ საწარმოო სიმძლავრეები, დანერგონ ახალი ტექნიკა, პროგრესული ტექნოლოგია და მონინავე გამოცდილება, გააფართოონ საქონლის ასორტიმენტი, გაიუმჯობესონ ხარისხი.

ახლა, ამ შუა გაზაფხულზე, როგორც იტყვიან, პირდაპირ გახურებული მუშაობა სოფლად. მხვნელ-მთესველები დიდ დღესასწაულს მინდვრად შეხვდებიან. პარტია მოუწოდებს მათ — ყაირათიანად გამოიყენონ მიწა, ტექნიკა და სასუქები, სანიმუშოდ ჩაატარონ მინდვრის სამუშაოები, ამრავლონ მეცხოველეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

მშენებლათა ამოცანაა დროზე ჩააყენონ მწყობრში ახალი ობიექტები, აშენონ კეთილსინდისიერად, ეკონომიურად, თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე.

ჩვენში უდიდესი ხრუნვით არის გარემოსილი მეცნიერება. ამას ერთხელ კიდევ ნათლად მოწმობს საბჭოური მეცნიერების დღის დაწესება, რომელსაც სწორედ დღეს აღვნიშნავთ. ამის დასტურია აგრეთვე პარტიის მოწოდებათა სტრიქონები:

— საბჭოთა მეცნიერებო! აამაღლეთ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობა, განამტკიცეთ მეცნიერებისა და წარმოების კავშირი!

ერთი სიტყვით, საპირველმაისო მოწოდებათა ლაკონიური, მაგრამ ტევადი სტრიქონებიდან თავიანთ კონკრეტულ ამოცანებს ამოიკითხავენ აგრეთვე ტრანსპორტის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურისა და განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, საბჭოთა არმიის მეომრები, ჩვენი სახელოვანი ქალები, ვეტერანები და ახალგაზრდები, კომკავშირელები, პიონერები და მოსწავლეები...

მთელი ჩვენი შთანაფიქრის, ჩვენი მსჯეტბური ამოცანების განხორციელების მოთავენი კი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები არიან. სწორედ მათ უნარიან და საზრიან მოღვაწეობაზეა დამოკიდებული მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლება, რაც კიდევ უფრო გაამზიანებს ჩვენი ისედაც ნათელი მომავლის უტყუარ გზებს.

— კომუნისტებო! იყავით სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში და ხელმძღვანელობს „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის 50 წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების დებულებებითა და დასკვნებით, დაავალა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს პროფსაბჭოსა და რესპუბლიკის ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, ყველა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციას, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს წარმართონ ორგანიზაციულ-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მშრომელთა შემოქმედებითი ენერგიის შემდგომი აქტივიზაციისათვის, რათა წარმატებით შეასრულონ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეათე ხუთწლედის ძირითადი მაჩვენებლები, სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა მთელი მეცადინეობა მოახმარონ 1979 წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების და საერთოდ ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, თითოეულ სამუშაო ადგილას მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებას, წარმოების რეზერვების სრულ გამოყენებას, მომჭირნეობის რეჟიმის ზუსტ დაცვას.

ყოველნაირად გაუწიონ პროპაგანდა მეურნეობის გეგმიანი სოციალისტური სისტემის უპირატესობებს კაპიტალისტურთან შედარებით, განუხრელად სრულყონ ეკონომიკის გეგმიანი მართვა, უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ დაგეგმვა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას. საჭიროა დღენიადაგ ვამაღლებდეთ შრომითი მეტოქეობის ქმედითობას, ყოველნაირად ვაძლიერებდეთ მის გავლენას ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, უფრო სრულად ვიყენებდეთ ყველა მის შესაძლებლობას მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, უფრო აქტიურად ვავრცელებდეთ შრომის მოწინავე მეთოდებს.

რესპუბლიკური პრესის ორგანოებს, საქინფორმს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალთ ფართოდ და ყოველმხრივ გააშუქონ პირველი ხუთწლიანი გეგმის 50 წლისთავი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, მეცნიერებათა აკადემია საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად ვალდებული არიან მეორე კვარტალში მოაწყონ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, მიძღვნილი პირველი ხუთწლიანი გეგმის მიღების 50 წლისთავისა და ეკონომიკის გეგმიანი მართვის შემდგომი სრულყოფის პრობლემებისადმი, წარმოების დაგეგმვასა და მართვაში რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების როლისადმი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექციას, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკურ კაბინეტს დაევალა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკებისათვის გამართოს მიზნობრივი სემინარები სოციალისტური დაგეგმვის, სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობის ურთიერთკავშირის საკითხებზე.

საქართველოს პროფსაბჭოს, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებსა და დარგობრივ რესპუბლიკურ კომიტეტებს წინადადება მიეცათ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციებთან ერთად მთელი წლის განმავლობაში საწარმოებს შეუნებლობების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მომსახურების სფეროს, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომითს კოლექტივებში, სასწავლებლებში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში მოაწყონ საიუბილეო საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები.

(საქინფორმი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პრინციპული ინტერნაციონალისტური პოზიციით და ითვალისწინებენ სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, უწყებებისა და დაწესებულებების კოლექტივების, ჯარის ნაწილებისა და ქვეგანაყოფების, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეთა მრავალრიცხოვან წინადადებებს, მიიღეს გადაწყვეტილება ვ. ი. ლენინის დაბადების 109-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სრულიად საკავშირო კომუნისტური შაბათობის შედეგად მიღებული სახსრების 75 პროცენტი გადარიცხონ ჩინეთის ბარბაროსული აგრესიის შედეგად დაზარალებული მომძე ვიეტნამის დახმარების ფონდში.

ეს თაოსნობა კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ საბჭოთა ადამიანები სოლიდარობის მხურვალე გრძნობით ეკიდებიან ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხს, ისწრაფვიან გაუწიონ მას ძმური დახმარება ჩინეთის აგრესიის შედეგად დაზარალებული სახალხო მეურნეობის აღდგენაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, საკავშირო პროფსაბჭო და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ რწმენას, რომ სრულიად საკავშირო კომუნისტურ შაბათობაში აქტიური მონაწილეობით საბჭოთა ადამიანები ღირსეულ წვლილს შეიტანენ გმირ ვიეტნამელ ხალხთან ინტერნაციონალური სოლიდარობის საქმეში.

1979 წლის სრულიად საკავშირო შაბათობისაგან მიღებული სახსრების დანარჩენი ნაწილი მოხმარდება საბჭოთა კავშირის მხარეებში, ოლქებში, რაიონებსა და ქალაქებში სპეციალიზებული ბავშვთა სამკურნალო დაწესებულებების (საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, სანატორიუმების, ტყის სკოლების) მშენებლობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

პირველი ხუთწლედის 50 წლისთავის აღსანიშნავად

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის 50 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ პირველი ხუთწლედის ნახევარი საუკუნის იუბილე მნიშვნელოვანი მოვლენაა რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის ცხოვრებაში. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა დასარაზმავად სახელმწიფო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა გადაწყვეტისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ითვალისწინებს პირველი ხუთწლიანი გეგმის მიღების იუბილეს დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში და ხელმძღვანელობს „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის 50 წლისთავის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების დებულებებითა და დასკვნებით, დაავალა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს პროფსაბჭოსა და რესპუბლიკის ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, ყველა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციას, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს წარმართონ ორგანიზაციულ-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მშრომელთა შემოქმედებითი ენერგიის შემდგომი აქტივიზაციისათვის, რათა წარმატებით შეასრულონ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეათე ხუთწლედის ძირითადი მაჩვენებლები, სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა მთელი მეცადინეობა მოახმარონ 1979 წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების და საერთოდ ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, თითოეულ სამუშაო ადგილას მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარებას, წარმოების რეზერვების სრულ გამოყენებას, მომჭირნეობის რეჟიმის ზუსტ დაცვას.

ყოველნაირად გაუწიონ პროპაგანდა მეურნეობის გეგმიანი სოციალისტური სისტემის უპირატესობებს კაპიტალისტურთან შედარებით, განუხრელად სრულყონ ეკონომიკის გეგმიანი მართვა, უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ დაგეგმვა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას. საჭიროა დღენიადაგ ვამაღლებდეთ შრომითი მეტოქეობის ქმედითობას, ყოველნაირად ვაძლიერებდეთ მის გავლენას ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, უფრო სრულად ვიყენებდეთ ყველა მის შესაძლებლობას მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, უფრო აქტიურად ვავრცელებდეთ შრომის მოწინავე მეთოდებს.

რესპუბლიკური პრესის ორგანოებს, საქინფორმს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალთ ფართოდ და ყოველმხრივ გააშუქონ პირველი ხუთწლიანი გეგმის 50 წლისთავი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, მეცნიერებათა აკადემია საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად ვალდებული არიან მეორე კვარტალში მოაწყონ სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, მიძღვნილი პირველი ხუთწლიანი გეგმის მიღების 50 წლისთავისა და ეკონომიკის გეგმიანი მართვის შემდგომი სრულყოფის პრობლემებისადმი, წარმოების დაგეგმვასა და მართვაში რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების როლისადმი.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექციას, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკურ კაბინეტს დაევალა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკებისათვის გამართოს მიზნობრივი სემინარები სოციალისტური დაგეგმვის, სოციალისტური შეჯიბრებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობის ურთიერთკავშირის საკითხებზე.

საქართველოს პროფსაბჭოს, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებსა და დარგობრივ რესპუბლიკურ კომიტეტებს წინადადება მიეცათ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციებთან ერთად მთელი წლის განმავლობაში საწარმოებს შეუნებლობების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მომსახურების სფეროს, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შრომითს კოლექტივებში, სასწავლებლებში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში მოაწყონ საიუბილეო საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნიკოლოზ თუვდორეს ძე ვახლიევი დანიშნა სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის ამხ. ნ. ნ. რუკავიშნიკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

„სოიუზ-33“ კოსმოსური ხომალდით ორბიტული ფრენის განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის, **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება მიენიჭოს და **ლენინის ორდენი** და **„ოქროს ვარსკვლავის“** медали გადაეცეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეს, მკვლევარ კოსმონავტს **გიორგი ივანოვ ივანოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 13 აპრილი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქის, მკვლევარ კოსმონავტის გიორგი ივანოვ ივანოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის ორდენის მინიჭების შესახებ

„სოიუზ-33“ კოსმოსური ხომალდით ორბიტული ფრენის განხორციელებისა და ამ დროს გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება მიენიჭოს **ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის** მოქალაქეს, მკვლევარ კოსმონავტ **გიორგი ივანოვ ივანოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 13 აპრილი.

საბჭოური მეცნიერების დღე

საბჭოთა მეცნიერებო! აამაღლეთ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობა, განამტკიცეთ მეცნიერებისა და წარმოების კავშირი!

დიდება საბჭოურ მეცნიერებას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან



კაშკაშებენ აბასთუმნის ვარსკვლავები

ყანობილის მთაზე ბინდი ჩამოწვა... მაშინვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში მძლავრი ტელესკოპები ცისკენ მიმართეს...

უკვე ორმოც წელზე მეტია ობსერვატორიის კოლექტივი სისტემატურად აკვირდება ცის მნათობებს — ვარსკვლავებს, მზეს, მთვარეს. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი მეცნიერები სწავლობენ ვარსკვლავთშორის მატერიას, ატმოსფეროს ზედა ფენებს, იკვლევენ ვარსკვლავთა ჯგუფების მოძრაობას და ამუშავებენ სხვა პრობლემებს.

სურათებზე: ამ რეფლექტორის საშუალებით იკვლევენ მთვარესა და მზის სისტემის პლანეტებს; უმცროსი მეცნიერი მუშაკი მარინე გიგოლაშვილი აკვირდება მზეს.

ფ. არმასკის ფოტო (საქინფორმის ფოტოკრონიკა)

ჩვენი მეცნიერების მაღალი მისია

დიდი და პასუხსაგებია ამოცანები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დაუსახა საბჭოთა მეცნიერების მრავალმილიონიან არმიას. სიხარულით შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის მეცნიერები, ყველა მშრომელი ცნობას „საბჭოური მეცნიერების დღის“ დაწესების შესახებ. ამ დღესასწაულს მიეძღვნა საზეიმო კრება, რომელიც 13 აპრილს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა.

პრეზიდიუმში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. კირილინი, ლ. ვ. სმირნოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი თანამშრომლები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ცნობილი მეცნიერები, მხედართუფროსები, წარმოების მოწინავენი და ნოვატორები.

დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას საბჭოთა მეცნიერებისადმი; საბჭოური მეცნიერების ყველა მუშაკისადმი, რომელიც 13 აპრილს ყოველ ერთ ... ...



მეცნიერების ჰორიზონტები

მოწინავე მიჯნებზე

ეგგენი ხარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებრიობა და მასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერები, მეცნიერთა კოლექტივები, მთელი საბჭოთა ხალხი საზეიმოდ აღნიშნავენ „საბჭოური მეცნიერების დღეს“, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაწესდა.

„საბჭოური მეცნიერების დღის“ დაწესება კიდევ ერთი ახალი დასტურია მეცნიერების მიმართ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი ყურადღებისა, მათი დაუცხრომელი ზრუნვისა საბჭოთა მეცნიერების ყოველმხრივი განვითარებისათვის და, როგორც ამას ჩვენ ყველანი ერთსულოვნად აღვიქვამთ, გამოხატულებაა ბრძნული სახელმწიფოებრივი კეთილმოსურნეობისა, რომელსაც ნიადაგ იჩენს ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მეთაური ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

1918 წლის აპრილში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომდევნო წელს, ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა შეადგინა თავისი ცნობილი „მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოთა გეგმის მონახაზი“, რომელშიც ჩამოყალიბდა ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნის საქმეში მეცნიერთა ძალების ჩაბმის პროგრამა. სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა წინასწარ ის მიმართულებანი, რომელთა მიხედვითაც უნდა განვითარებულიყო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერება.

მეცნიერება ჩვენს ქვეყანაში იზრდება და ძლიერდება არნახული ტემპებით, სულ უფრო და უფრო მძლავრი ფაქტორი ხდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, გვანცვიფრებს მოვლენათა შემეცნების ახალ-ახალი ჰორიზონტებით დედამიწაზე და კოსმოსში.

სწრაფმოქმედი ელექტრონული გამომთვლელი მანქანები, ელექტრონიკა, ტელემექანიკა, კიბერნეტიკული დანადგარები, ავტომატებმოქმედების ახალი საშუალებანი, დასახული თვისებების მქონე ახალი მასალები, ატომური ენერგიის გამოყენება, ბრძოლა ენერგეტიკის ჰორიზონტები — ყოველივე ესა და სხვა მრავალი თვისებრივად ახალი, არსებითად მნიშვნელოვანი მიმართულება მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თან ახლავს დაჩქარებულ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას.

მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალი დონის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია კოსმოსის სივრცეების, პლანეტური სისტემის სხეულთა მეცნიერულ და ტექნიკურ ათვისებაში. უკვე აღარავის არ აოცებს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების ფრენა, — ეს ტექნიკური სასწაული, რომელიც კაცობრობას მოევლინა სულ რაღაც ორი ათეული წლის წინათ. ჩვენ ვეჩვევით ისეთ წარმატებებსაც კი კოსმონავტიკაში, როგორიც არის მკვლევართა ჯგუფებითა და საერთაშორისო ეკიპაჟებით დასახლებული ხანგრძლივმოქმედი უზარმაზარი მოცულობისა და წონის საბჭოთა ორბიტული ლაბორატორიები.

ჩვენმა კოსმოსურმა აპარატებმა მიაღწიე მთვარის, მარსისა და ვენერას ზედაპირს, მოგვაწოდეს უძვირფასესი სამეცნიერო ინფორმაცია ამ ციურ სხეულთა ბუნების შესახებ. დაკვირვებანი და გამოკვლევანი, რომლებიც წარმოებს პილოტირებული კოსმოსური ხომალდებიდან, შესაძლებლობას გვაძლევს აღმოვაჩინოთ ახალი მოვლენები ჩვენი საკუთარი პლანეტის აგებულებაში, დედამიწის ქერქში, წყლისა და ჰაერის გარსში, ხმელეთზე, ნიადაგში, მცენარეთა სამყაროში და თოვლის საფარში. წმინდა საინჟინრო, ტექნოლოგიური ექსპერიმენტები კოსმოსური ფრენის დროს, ზოგჯერ ღია კოსმოსშიც რომ ხდება, თვისებრივად სულ ახალ საერგებლობას პირდება დღენიადაგ მზარდ ჩვენს მრეწველობას, დაუფასებელია როლი კოსმოსური მედიცინისა, რომელიც საერგებლობს ცოცხალი ორგანიზმების, ადამიანის ცხოველმოქმედებაზე დაკვირვების მაღალგანვითარებული საშუალებებით. კოსმოსური ბიოლოგია და კოსმოსური მედიცინა, რა თქმა უნდა, გარდაქმნიან დედამიწის მედიცინას, სრულყოფენ მას.

კოსმოსური ექსპერიმენტები განუხრელად აფართოებენ მეცნიერული შემეცნების ჰორიზონტებს. ისინი შეადგენენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს.

მათემატიკა და ფიზიკა, არა მხოლოდ როგორც მეცნიერული შემეცნების დარგები, არამედ აგრეთვე როგორც ბუნებასა და საზოგადოებაში არსებული ყველა მოვლენის კვლევის საშუალების საფუძველი და არსი, განსაკუთრებულ გავლენას ახდენენ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე.

თანამედროვე მეცნიერების სისტემაში ფიზიკის როლი განისაზღვრება იმითაც, რომ ნივთიერების, მატერიის აგებულების ელემენტარულ, მაგრამ ამასთან ერთად ღრმა შინაარსის კანონების შესწავლის საფუძველზე, იგი ქმნის პრინციპულად ახალ კონცეფციებს, ასევე მეთოდებს, რომლებსაც ეფექტიანად იყენებენ მეცნიერებისა და ტექნიკის სხვა დარგებშიც. მხედველობაში მაქვს მყარი სხეულის ფიზიკა, დაბალი ტემპერატურების ფიზიკა, პლაზმის ფიზიკა, კოსმოსური სხივების ფიზიკა, ე. ი. დარგები, რომლებიც აგრეთვე წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირში.

ქიმიურ-ტექნოლოგიურ პრობლემათა ფართო წრე — კატალიზით დაწყებული და ხელოვნური საკვების სინთეზით დამთავრებული, ანდა რადიოქიმია და სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია, აგრეთვე ბიოლოგიურ პრობლემათა დამუშავება, როგორიც არის ორგანული სამყაროს განვითარების კანონზომიერებანი, ბიოსფეროს რესურსების აღდგენა — ყველა ეს მეტად აქტუალური, შეიძლება ითქვას, კეთილშობილური პრობლემებია, რომელთა განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერებს.

ფუნდამენტური სამეცნიერო პრობლემები, რომლებიც მოიცავს ფილოსოფიას, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, მეცნიერულ კომუნიზმს, პოლიტიკურ ეკონომიას და მთელ რიგ სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინებს, წარმოადგენს კვლევის საგანს მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის სფეროში.

საბჭოთა საქართველოში მეცნიერების განვითარებისა და აყვავების თითქმის სამოცწლიანი ისტორია — ეს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ნათელი დადასტურებაა. მეცნიერებისათვის ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სულ ახლახან გამოქვეყნებული დადგენილება საქართველოში „საბჭოური მეცნიერების დღესთან“ დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ.

საბჭოთა საქართველოში მეცნიერული კვლევა-ძიების არნახულ გაქანებაზე მეტყველებს შემდეგი ციფრები: რესპუბლიკაში არის დაახლოებით 146 სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, 19 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც მოღვაწეობს 24.180 მეცნიერი და სპეციალისტი, მათ შორის 1265 მეცნიერებათა დოქტორი და 8158 მეცნიერებათა კანდიდატი.

თუ ვიმსჯელებთ მხოლოდ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მაგალითზე, რომელმაც თავისი არსებობა დაიწყო მხოლოდ 16 აკადემიკოსის, 14 სამეცნიერო დაწესებულების, 30 მეცნიერებათა დოქტორისა და 110 მეცნიერებათა კანდიდატის შემადგენლობით, ამჟამად აქ, ამ სისტემის 42 სამეცნიერო დაწესებულებაში მოღვაწეობს 5828 მეცნიერი თანაშრომელი. რომელთა შორის 383 მეცნიერებათა დოქტორი და 1942 მეცნიერებათა კანდიდატია. მეცნიერებათა აკადემია აერთიანებს 53 ნამდვილ წევრსა და 43 წევრ-კორესპონდენტს.

უკანასკნელ წლებში რამდენიმე ათეული მილიონი მანეთით გამოიხატება ეკონომიკური ეფექტი ანუ უკუგება, რომელსაც მეცნიერებათა აკადემია მრეწველობას, სახალხო მეურნეობას აძლევს.

საქართველოს 15-ზე მეტი მეცნიერი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა დარგობრივი აკადემიის წევრია.

საქართველოდან დაახლოებით 35 მეცნიერი არჩეულია საზღვარგარეთის აკადემიების ანდა საერთაშორისო სამეცნიერო დაწესებულებების წევრად. ჩვენი მეცნიერების მრავალი ნაშრომი აღნიშნულია ლენინური, სსრ კავშირის სახელმწიფო, საქართველოს სსრ სახელმწიფო და სახელობითი პრემიით.

მარტო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია 8 სამეცნიერო ჟურნალს უშვებს. მათთან ერთად იბეჭდება „ინსტიტუტების შრომები“, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, „უმაღლესი სასწავლებლების შრომები“ და სხვ.

სამეცნიერო კადრების მომზადებაში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გაშლასა და ექსპერიმენტების ჩატარებაში საქართველოს მეცნიერებს უდავოდ დიდ დახმარებას უწევენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტები და ჩვენი ქვეყნის სხვა სამეცნიერო ცენტრები.

მოძმე რუს და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერთა კოლექტივებთან შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგად მიეაღწიეთ და ამჟამადაც ვაღწევთ მნიშვნელოვან წარმატებებს.

ძნელად თუ მოიპოვება ისეთი სამეცნიერო დარგი, რომელშიც საქართველოს მეცნიერებს არ შეეტანოთ თავიანთი ღირსშესანიშნავი წვლილი. ფართო ფრონტით წარმოებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, სოციალური განვითარების აქტუალური საკითხების გადაჭრასთან.

მეცნიერების განვითარების დონის შეფასების უმთავრესი კრიტერიუმია ჩამოყალიბებული სამეცნიერო მიმართულების არსებობა, რომელმაც ფუნდამენტური შედეგებით ფართო აღიარება მოიპოვა, გაუძლო დროთა დინებას, შესწევს უნარი თანდათან განვითარდეს და გადაეცეს ფაზიდან ფაზაზე, ძალუძს მისცეს ბევრი ნაყოფიერი სახე ამა თუ იმ ეროვნულ კოლექტივს ანდა სამეცნიერო დანესებულებების კოლექტივებს. ამგვარ მიმართულებას უწოდებენ სამეცნიერო სკოლას. კარგად არის ცნობილი საქართველოში ჩამოყალიბებული მათემატიკური, ფიზიოლოგიური, საენათმეცნიერო სკოლები, საქართველოს ისტორიკოსთა სკოლა.

საფუძველი გვაქვს დავასახელოთ აგრეთვე აღმოსავლეთმცოდნეობის, ფსიქოლოგიური და გეოლოგიური სკოლები.

მაღალ დონეზე მიმდინარეობს გამოკვლევები ფიზიკასა და ბიოლოგიურ მეცნიერებათა მთელ რიგ თანამედროვე დარგებში.

მეცნიერ-ქიმიკოსებს საგრძნობი წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი მრეწველობის დარგების წარმოების ტექნოლოგიის განვითარებაში, სოფლის მეურნეობაში, საქართველოს სამკურნალო ფლორის შესწავლაში.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვის შედეგად დროულად ჩაეყარა საფუძველი და ჩამოყალიბდა ტექნიკური პროფილის, გამოყენებით მეცნიერებათა ინსტიტუტები, რომლებიც მოიცავენ ფართო დიაპაზონს, სამშენებლო მექანიკით დაწყებული და სამთო მექანიკით დამთავრებული, მანქანათმშენებლობით დაწყებული და კიბერნეტიკითა და მართვის სისტემებით დამთავრებული, რაც უზრუნველყოფს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უფრო ეფექტიან მეცნიერულ მომსახურებას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტები მონაწილეობას იღებენ იმ ამოცანათა გადაწყვეტაში, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებიდან პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. ჩვენ, მთელ საზოგადოებრიობასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ რესპუბლიკაში ეკონომიკური, და ბუნებრივ, ფილოსოფიური, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის შეუნელებელ ბრძოლას.

რესპუბლიკის მეცნიერულ პოტენციალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეცნიერულ მუშაობას უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში. სამეცნიერო სამუშაოების ფართო ფრონტის გარკვეულ უბნებზე იღვწიან დარგობრივი და გამოყენებითი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ლაბორატორიები და სხვა დაწესებულებები, რომლებიც ახლო დგანან წარმოებასთან.

პარტია განსაკუთრებით ზრუნავს ცალკეული რეგიონების ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის. ამას რომ ითვალისწინებს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს მეცნიერების განვითარებას აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრში — ქუთაისში.

ამრიგად, ჩვენს რესპუბლიკაში ხორციელდება მეცნიერების გეგმიანი წინსვლა, სამეცნიერო კადრებიც მომზადება, ეროვნული კულტურის განვითარება. ასეთია პარტიის პრაქტიკული მოღვაწეობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკა. ეს თავის ნათელ გამოხატულებას პოულობს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში.

„ზავი“ ომის საფუძველზე

ვაშინგტონი. (საკდესის კორ.). ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აჩქარებს იმ სეპარატული გარიგების ანაზღაურებას, რომელიც ეგვიპტისა და ისრაელს შორის დაიდო ამერიკის ეგიდით. „საკითხის დაუყოვნებლივ განხილვის“ შესახებ პრეზიდენტ ჯ. კარტერის თხოვნის პასუხად სენატის საგარეო სჯმეთა კომისიამ დაიწყო განხილვა მთავრობის კანონპროექტისა კაიროსა და ტელ-ავივისთვის 4,8 მილიარდი დოლარი დამატებითი სამხედრო დახმარების გამოყოფის თაობაზე, რაც ეგრეთ წოდებული საზავო ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული.

განხილვისას გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მდივანი ს. ვენსი და თავდაცვის მინისტრი ჰ. ბროუნი, რომლებმაც ფაქტიურად დაადასტურეს, რომ გარიგება შეესაბამება უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის ინტერესებს და ლაქიის დამამცირებელ როლს აკუთვნებს სადათის რეჟიმს.

როგორც ბროუნმა განაცხადა, გამოთხოვილ ასიგნებათა მეტი ნაწილი მოხმარდება ტელ-ავივის საზღვრების გაძლიერებას. ამერიკის შეერთებული შტატები უსასყიდლოდ მისცემს ტელ-ავივს 800 მილიონ დოლარს ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების ორი ახალი ბაზის მშენებლობისათვის სინის ნახევარკუნძულზე დატოვებული ბაზების ნაცვლად. მშენებლობას უხელმძღვანელებენ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალები, ხოლო მოჯარის როლს შესრულებს ამერიკის საინჟინრო კორპუსი.

2,2 მილიარდი დოლარი გამოიყოფა ისრაელის მიერ ამერიკის თანამედროვე იარაღის ახალი პარტიის შესასყიდად, რომლის გასაიდუმლოებული სია მინისტრმა გადასცა კომისიის წევრებს. იგი შეავსებს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ტელ-ავივისათვის 2 მილიარდ დოლარის იარაღის ყოველწლიურ მიწოდებას, რაც უკვე ხორციელდება და, როგორც სახელმწიფო მდივანმა აღიარა, „საშუალებას მისცემს განაგრძოს თავისი სამხედრო მანქანის მოდერნიზაცია“. გათვალისწინებულია აგრეთვე სამხედრო კომუნიკაციების ფართო ქსელის შექმნა.

პენტაგონის ზრახვები

ვაშინგტონი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა კონგრესს გაუგზავნა კანონპროექტი თურქეთის ეკონომიკური დახმარების მიზნით 100 მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ. გარდა ამისა, როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, თეთრი სახლი უახლოეს მომავალში აპირებს ამ ქვეყანას სამხედრო დახმარებად გამოუყოს 50 მილიონი დოლარი.

ანკარისადმი დამატებით მრავალმილიონიან ასიგნებებს, რომელსაც გამოყოფენ მიმდინარე საფინანსო წელს კონგრესის მიერ სანქციონირებული 225 მილიონი დოლარისა და 1980 წლისათვის დაგეგმილი 300 მილიონი დოლარის გარდა, ადგილობრივი პოლიტიკური მიმომხილველების აზრით, საერთო არა აქვს რა ქვეყნმოქმედებასთან. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს, რომ დახმარების ახალი პროგრამების საკითხი წამოიჭრა მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იარაღთა რევოლუციის შედეგად დაკარგა სათვალთვალო პოსტები, რომლებსაც იყენებდა საბჭოთა კავშირის შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებისათვის.

ვაშინგტონი, წერს გაზეთი, მიზნად ისახავს ეს დანაკარგი აანაზღაუროს თურქეთის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების მეშვეობით. ამერიკის შეერთებულ შტატების ადმინისტრაციას იმედი აქვს, რომ დოლარების საშუალებით შეიპიროს თურქეთს, რათა გაგრძელებინოს 26 სათვალთვალო პოსტის მოქმედების ვადა, რომელიც ამჟამად მოქმედი ამერიკა-თურქეთის შეთანხმების შესაბამისად 9 ოქტომბერს გაუდს.

მოლაპარაკება ამ შეთანხმების განახლების თაობაზე, როგორც ამერიკული პრესა აღიარებს, ვაშინგტონის აშკარა ზეგავლენის მიუხედავად ძნელად მიმდინარეობს. ამერიკის შეერთებულ შტატებს იმედი აქვს, რომ 150 მილიონი დოლარი დაეხმარება ადგილიდან დაძრას ეს მოლაპარაკება. თურქეთის გულის მოგება პენტაგონს კიდევ იმიტომ უნდა, რომ თურქეთის საჰაერო სივრცე გამოიყენოს საბჭოთა კავშირის საზღვრის გასწვრივ „უ-2“ ტიპის საჯაშუშო თვითმფრინაველის ფრენისათვის.

საერთაშორისო ცხოვრება

დღევანდელი ჩანაწერიდან

მოკლედ

ყოველი მხრიდან

14 აპრილი

მადრიდი. ესპანეთის ათასზე მეტ დასახლებულ პუნქტში მერედად აირჩიეს კომუნისტები და სოციალისტები. ეს გამოაცხადეს ესპანეთის კომპარტიისა და ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის შერეული კომისიის წარმომადგენელთა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე.

დამასკო. ისრაელის ხელისუფლებამ მიტაცებულ არაბულ ტერიტორიებზე რეპრესიების კომპანია გაიჩაღეს პატიოსანი წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფენ სადათის რეჟიმისა და ტელ-ავივის სეპარატულ გარიგებას. ქალაქ რამალაჰში ოკუპანტებმა დაატანტრეს მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის პალესტინის მუშათა საყოველთაო კავშირის ხელმძღვანელობის წევრი მაჰმუდ აშ-შეიხი და მშენებელ მუშათა პროფკავშირის მდივანი ჰუსეინ მუჰამედ თაუილი.

ბეირუთი. არაბული ქვეყნების ლიგის არქივების, დოკუმენტაციისა და სახსრების კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე პრეზიდენტმა სადათმა გასცა განკარგულება გაიტანოს სხვა არაბული ქვეყნებისა და მათი მოქალაქეების კუთვნილი საბანკო ანაბრები. ამას იუწყება ლიბანის გაზეთი „აშ-შაბი“.

ნიუ-იორკი. კარიბის ზღვის სენტ-ვინსენტის კუნძულზე საგანგებო წესები გამოაცხადეს. აქ დაიწყო სუფრიერის ვულკანის ამოფრქვევა. როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, პრემიერ-მინისტრ მ. კეიტოუს მითითებით მიმდინარეობს ხალხის გახიზვნა ყველა დასახლებული პუნქტიდან, რომლებიც ვულკანიდან 16 კილომეტრ რადიუსშია განლაგებული. გადაუდებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად შექმნილია სპეციალური მთავრობის კომიტეტი, გამოცხადებულია ექვიმთა და სანიტართა მობილიზაცია.

დასავლეთის მიჯნაზე

ვენა. (საკდესის კორ.). ვენის ჰოფბურგის სასახლეში დამთავრდა მე-17 რაუნდი მოლაპარაკებისა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალების და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ. უკანასკნელ დახურულ პლენარულ სხდომაზე გამოვიდნენ საბჭოთა დელეგაციის მეთაური ნ. კ. ტარასოვი და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ხელმძღვანელი ჯ. დინი.

გამართულ პრეს-კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში ჟურნალისტებს გააცნო საბჭოთა დელეგაციის გამოსვლა, რომელმაც მოლაპარაკების ახლანდელი რაუნდი დაახასიათა როგორც ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობათა რაუნდი დასავლეთის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო.

თუმცა მას შემდეგ, რაც სოციალისტურმა ქვეყნებმა 1978 წლის 8 ივნისს კომპრომისული წინადადებანი შემოიტანეს, 10 თვეზე მეტი გავიდა, დასავლეთის მხარეს არავითარი პასუხი არ გაუცია ამ წინადადებებზე. ამ დიდმნიშვნელოვანი ინიციატივის გამო ხანგრძლივმა დუმილმა და დასავლეთის მხრივ რაიმე კომპაქტიური კონტრწინადადებების უქონლობამ შეიანელა მოლაპარაკების ტემპი, გააქიანურა კადამწყვეტ მორიგებათა ძიება. მუშაობის ეფექტურობას ხელს უშლიდა აგრეთვე ნატოს ქვეყნების მიერ არჩეული ტაქტიკა — ბევრი ფუძემდებელი პროგრამის აშკარად იგნორირება, დისკუსიის ხელოვნურად ისეთი საკითხების განხილვით შემოფარგვლა, რომელსაც გადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

დასავლეთის დელეგაციები კვლავ იცავდნენ უწინდელ მოთხოვნას, რომ საბჭოთა კავშირმა იკისროს თავისი ჯარების შემცირების კონკრეტული ინდივიდუალური ვალდებულებანი, მაშინ, როცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინგლისი და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები დასჯერდებიან „კოლექტიურ“ ვალდებულებას, ხოლო მათი ინდივიდუალური წვლილი ნატოს შიგნით განისაზღვრება. სოციალისტური სახელმწიფოები უარყოფენ საკითხის ასეთ დისკრიმინაციულ დაყენებას.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები აღნიშნავენ, რომ ევროპაში სამხედრო დაძაბულობის შენელებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ცოტა ხნის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებულ წინადადებას ყველა სახელმწიფოს მიმართ, რომლებმაც ხელი მოაწერეს სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტს, შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ პირველნი არ გამოიყენებენ როგორც ბირთვულ, ისე ჩვეულებრივ იარაღს, სხვანაირად რომ ვთქვათ, დადონ რაღაც თავდაუსხმელობის პაქტის მსგავსი.

მოლაპარაკებაზე გამოცხადებულია შესვენება მაისის შუა რიცხვებამდე.

ოგიექტურად, კეთილგანწყობით

თეირანი, 14 აპრილი. (საკდესი). ინფორმაციის საბჭოთა ორგანოები დასავლეთის ბევრი ორგანოსაგან განსხვავებით, ობიექტურად და კეთილგანწყობით აშუქებენ ირანის ამბებს, განაცხადა კორესპონდენტებთან საუბარში ირანის ინფორმაციისა და პროპაგანდის მინისტრმა ნ. მინაჩიმ. ჩვენს ხალხს, ხაზი გაუსვა მან, შეუძლია მხოლოდ მადლობა უთხრას საბჭოთა კავშირს რევოლუციური მოძრაობის მხარდაჭერის პოლიტიკისათვის. ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა კვლავაც განვითარდება ორივე ხალხის ინტერესებისათვის ურთიერთპატივისცემის, კეთილმეზობლობისა და მეგობრობის საფუძველზე.

უცხოელი ავტორები „კომუნისტში“

იძულებითი აღიარება

ფაცაფუცი, რომლითაც დასავლეთის სახელმწიფოები და უპირველეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები, ცდილობენ საერთო ენა გამონახონ ირანის ახალ ხელმძღვანელობასთან, შენიღბული ცდაა დაფარონ თავიანთი ნამდვილი დამოკიდებულება ამ ქვეყანაში მომხდარი მოვლენებისადმი.

ინგლისიცა და ამერიკის შეერთებული შტატებიც ირანში მოელვარების დაწყებისთანავე შაჰის მხარეზე დადგნენ. გასაგებია, რომ მათ მისი გამარჯვება სურდათ — შაჰი ხომ მათი კაცი იყო...

რა ხდება ამჟამად?

თუმცა მათ სასწრაფოდ სცნეს ირანის ახალი მთავრობა, არცერთი ინგლისური გაზეთი არ აცხადებს, რომ დასავლეთი მიესალმება ირანში სახალხო ძალების გამარჯვებას. „დეილი ტელეგრაფმა“ ირანის ხალხის გამარჯვება დაახასიათა როგორც „გამანადგურებელი დარტყმა“, „დეილი ექსპრესმა“ კი ცინიკურად განაცხადა: „რა თქმა უნდა, დასავლეთში გვსურს, რომ ირანში იყოს ზომიერი პროდასავლური მთავრობა, რომელიც ნავთობთაც მოგვამარაგებს და ქვეყნის ისეთი ინდუსტრიალიზაციის კურსს განახორციელებს, რომელიც დასავლეთის ბანკის მყარ და საიმედო წევრად აქცევდა მასო“.

რატომ თვლის დასავლეთი შაჰის დამხობას „გამანადგურებელ დარტყმად“? იმიტომ, რომ ირანის რევოლუციის ხელმძღვანელებმა განაცხადეს თავიანთი სურვილი — შექმნან დამოუკიდებელი და უცხოური ბატონობისაგან თავისუფალი ირანი. ასეთ განვითარებას (სადაც არ უნდა მომხდარიყო იგი) დასავლეთი ყოველთვის კატასტროფად მიიჩნევდა ხოლმე.

მათი საქმე იმდენად სავალალო იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი ჰაროლდ ბროუნი სასწრაფოდ გაემგზავრა საუდის არაბეთსა და სხვა არაბულ სახელმწიფოებში სპეციალური მისიით — დაარწმუნებინა ეს სახელმწიფოები იმაში, რომ მათთან ირანის ამბების განმეორების შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები გადაჭრით „დაიცავს თავის უფლებებს“.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ნავთობით მდიდარი ამა თუ იმ ქვეყნის ხალხი გადაწყვეტს დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელებას, ამერიკის შეერთებული შტატები მათ ამის ნებას არ მისცემს.

ბატონი ბროუნის მისიამ, ბუნებრივია, ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლოცვა-კურთხევაც დაიმსახურა.

დიდი ხანი არ არის, რაც ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ოუენი აცხადებდა, რომ ინგლისის მთავრობა მხარს უჭერდა შაჰის რეჟიმს; მინისტრს ცამდე აჰყავდა მისი დამსახურებები და ავტორიტეტი. კუვეიტში მოგზაურობის დროს კი, იმავე ოუენმა 13 თებერვალს განაცხადა, ინგლისის მიერ ირანის ახალი მთავრობის ცნობა სხვა არაფერია, თუ არა „არსებულ რეალობათა ცნობა და ამან არ უნდა შეაშფოთოს სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნებიო“.

საკმაოდ სასაცილოდ გაისმა პრეზიდენტ კარტერის სიტყვები, როდესაც მან განაცხადა, ირანში ჩემი უპირველესი საზრუნავი ის არის, რომ „არ დავუშვა ამ ქვეყნის საქმეებში გარეშე ჩარევა და შევინარჩუნოთ მისი დამოუკიდებლობაო“!

შარშან დეკემბერში, ირანის ამბების დასაწყისში კი, კარტერმა თვითონ ბრძანა ამერიკის შეერთებული შტატების წყნარი ოკეანის ფლოტის ხომალდების გაგზავნა სპარსეთის ყურეში. სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები ერეოდნენ აქტიურად ირანის საქმეებში. განსაკუთრებით თავს არ ზოგავდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომელიც ირანის საიდუმლო პოლიციის—სავაკის მეშვეობით მოქმედებდა.

დიახ, დასავლეთს უჭირს ირანელი ხალხის მიერ მირთმეული მწარე აბის გადაყლაპვა. შაჰის რეჟიმისათვის სამხედრო მოწყობილობისა და იარაღის მიწოდების მსხვილი კონტრაქტები საფრთხეში აღმოჩნდა. მარტო ინგლისს 1.300 მილიონი გირვანქა სტერლინგის კონტრაქტი ჰქონდა დადებული, ამერიკის შეერთებულ-შტატებს კი ბევრად ამაზე მეტი.

რაოდენი სახსრები დაიხარჯა ირანის არმიის ყველაზე თანამედროვე იარაღით აღჭურვისათვის და ყველაფერი ამაო აღმოჩნდა. ირანელები დღესაც კითხულობენ: ვის სჭირდებოდა ამოდენა არმია? ვინ მოიგო მისი შექმნით? რა თქმა უნდა, არა ირანელმა ხალხმა. საბჭოთა კავშირის სამხრეთის საზღვრებთან განლაგებულ ამ არმიაზე — ნატოს ჯარების ფილიალზე, სინამდვილეში დასავლეთი დიდ იმედებს ამყარებდა.

ახლა ვითარება შეიცვალა. აღმოჩნდა, რომ არმიის დიდი ნაწილი არ ყოფილა ისე განწყობილი, როგორც ეს ამერიკელ და ინგლისელ მრჩევლებს სურდათ. მიუხედავად ამისა, დასავლეთს ხელი არ აუღია თავისი გეგმებისაგან ირანში და მზად არის ყოველგვარი პროვოკაციებითა და მაქინაციებით შეინარჩუნოს იქ თავისი გავლენა. რას იზამ, ასეთია მისი ბუნება!..

ჯეიმს ოლდრიჯი,
ინგლისელი მწერალი.
ლონდონი.

ამზადებენ ახალ დივერსიებს

დელი, 14 აპრილი. (საკდესი). ნაგას ტომის სეპარატისტებმა, რომლებმაც მომზადება გაიარეს ჩინეთის სადივერსიო სკოლებში, გააძლიერეს ძირგამომთხრელი საქმიანობა ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

კალკუტის გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი“ წერს, რომ ახლა ინდოეთის საზღვარზე თავს ეყრიან შეიარაღებულ ბანდებს, რომელთა საერთო რიცხვი ათას კაცს აღწევს. ამ პეკინელმა რეკრუტებმა ჩინეთიდან მიიღეს თანამედროვე იარაღი, სურსათი, სხვა აღჭურვილობა.

ბოლო თვეებში, აღნიშნავს „ჰინდუსტან სტანდარდი“, ნაგას ტომის ბევრმა მეამბოხემ ინდოეთის ტერიტორიაზე იარაღი დაყარა და მშვიდობიან შრომას მიჰყო ხელი. ამიტომ პეკინი ახლა აგრთვებს მომზრეებს ინდოეთში დივერსიისათვის ნაგას ტომის წარმომადგენლებისაგან, რომლებიც ინდოეთის მოსაზღვრე ბირმის რაიონებში ცხოვრობენ.

ამცირებენ ნავთობის მოხმარებას

ბრიუსელი, 14 აპრილი. (საკდესი). ბელგიის მთავრობამ მოიწონა პროექტი კანონისა ქვეყანაში შემოტანილი ნავთობპროდუქტების მოხმარების შემცირების შესახებ. უახლოეს სამ თვეში გათვალისწინებულია სადიზელე და სხვა სახეობის სათბობის ხარჯვის შემც

„კომუნისტის“ კრიტიკული გაკოსკლის შემდეგ

„მტკვარი რომ სუფთა იყოს“

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილში გაკრიტიკებული იყო ბორჯომის ზოგიერთი საწარმო, რომლებიც არ ასრულებენ ზემდგომი ორგანოების დადგენილებას მდინარე მტკვრის გაჭუჭყიანების თავიდან აცილებისათვის. ამის გამო ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. კურტანიძე გვაცნობებს:

რაიონული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ზეგაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი და სათანადოდ იმსჯელა.

გამოირკვა, რომ წყალსატევების გაჭუჭყიანების აღსაკვეთად რაიონში განხორციელებული ღონისძიებანი საკმარისი არ არის. არც ერთ საწარმოს, რომელთა ბინძური წყალი ჩაედინება მდინარე მტკვარში, არ გააჩნია საწმენდი ნაგებობები. მიუხედავად იმისა, რომ რეპუბლიკის ზემდგომი ორგანოების დადგენილებით დავალებული აქვთ საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“, „შუშის ქარხნის, სანატორიუმ „მზიურის“, ტუბსანატორიუმ „ლიბანის“, ბორჯომის რაისაავადმყოფოს და ბაკურიანის საავადმყოფოს ხელმძღვანელებს საწმენდ ნაგებობათა მშენებლობა, დღემდე არავითარი ღონისძიება არ არის განხორციელებული ამ მხრივ.

რაიონული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაავალა წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს უახლოეს ხანში გაწმინდონ როგორც საწარმოების, ისე ახლომახლო ტერიტორიები, მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების ნაპირები.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს წინაშე დაისვა საკითხი, შეასრულონ ზემდგომი ორგანოების დადგენილება საწმენდი ნაგებობების მშენებლობის შესახებ.

აღმასკომის სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული, რომ რაიონში არსებული ავტოსატრანსპორტო საწარმოები 1979 წლის ბოლოსათვის დაამთავრებენ ნავთობპროდუქტების შემკრების მოწყობას.

„გოგო მიდის მოსვეულში“

რედაქციას უპასუხებენ ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველო და თბილისის მეტროპოლიტენის დაცვის მილიციის განყოფილება

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მოთხრობილი იყო, თუ როგორ შეურაცხყვეს მეტროს სადგურ „ოქტომბერთან“ „გოგოსა და უსაქმურმა ხულიგნებმა“ და არავინ აღმოჩნდა მისი მფარველი.

— წერილი განიხილა თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველომ და დაისახა დამატებითი ღონისძიებები მეტროს სადგურებში, ქუჩებსა და მოქალაქეთა თავშეყრის სხვა ადგილებში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების მიზნით, — აცნობა რედაქციას თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ დ. ალანიამ, — მეტროპოლიტენის დაცვის მუშაკებს დაევალათ მიკრორაიონების საპარეულო-საგუშაგო სამსახურებთან ერთად აქტიურად გამოავლინონ მეტროს სადგურების ახლომახლო ტერიტორიაზე თავშეყრილი უსაქმურები, მიიღონ ზომები ხულიგნობისა და სხვა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

— წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება, — აღნიშნავს რედაქციისადმი გამოგზავნილ პასუხში მეტროპოლიტენის დაცვის მილიციის განყოფილების უფროსი ლ. შარვაძე, — ჩვენმა პირადმა შემადგენლობამ განიხილა აღნიშნული წერილი და ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებთან და სახალხო რაზმელებთან ერთად დასახა კონკრეტული ღონისძიებები მეტროს სადგურებთან უსაქმოდ მდგომ პირთა გამოსავლენად.

რედაქციისაგან: ეს არის კომპეტენტური ორგანოების პასუხი ნერილში მოყვანილ ფაქტზე. მაგრამ, აღმათ გახსოვთ, რომ წერილში, („გოგო მიდის მოხვეულში“) აღნიშნული ფაქტის კომენტარს თვით მკითხველებსაც ვთხოვდით და ჩვენი მკითხველიც აქტიურად გამოგვეხმაურა, ბევრი საყურადღებო წინადადება, შენიშვნა, სურვილი გამოთქვა. რედაქცია მათს ნაბაზრევს მალე შეაჯამებს რუბრიკით **„გამვლელო, ეს შენ გეხება“.**

ფოტოგრაფიდან:

ორმოცი გზაზე

დიღმის მასივში გზის უკარგესობას ეხებოდა ფოტობრალდება, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. ამის გამო თბილისის პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომი რედაქციას ატყობინებს:

დიღმის მასივის მეოთხე კვარტალში მე-16 კორპუსთან კანალიზაციის ქსელის დაზიანების გამო ჩავარდნილი იყო ქუჩის სამოძრავო ნაწილი. ამჟამად გზა უკვე შეკეთებულია. ამასთან აქ დაწყებულია უველა შიდასაუბნო გზის მიმდინარე შეკეთება, რაც მეორე კვარტალის ბოლომდე დამთავრდება.

1928 წელს, მას შემდეგ რაც ამერიკის კონცესიონერმა არ შეასრულა ვალდებულება, საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა ჰიალურის მანგანუმის მადნების საბადოთა და რიონჰეს-ზაჰესის ენერგეტიკულ ბაზაზე საქართველოში აეგო ფერომანგანუმის ქარხანა და პირველი ხუთწლიანი გეგმის კაპიტალური მშენებლობის სატატუტო ნუსხაში შეიტანა. საამისოდ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, მათ შორის ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება. ამასთან დაკავშირებით ცნობილი ქართველი მეცნიერის, ქართული მეტალურგიის მამამთავრის პროფესორ გ. ნიკოლაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1928 წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან დაარსდა მეტალურგიული განყოფილება ხუთი სტუდენტის შემადგენლობით (ი. კეკელიძე, ვლ. მელაძე, შ. ფხაკაძე, ელ. ნადირაძე და პ. ჯავახი!ა), რომლებიც მეტალურგიის მეცნიერებასა და პრაქტიკას უშუალოდ გ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ეუფლებოდნენ.

მალე თბილისში, დიდუბის მიდამოებში გ. ნიკოლაძის მეთაურობით 1930 წლის ივნისში ამუშავდა ფერომანგანუმის საცდელი ქარხანა. იგი გადაიქცა შესანიშნავ ერად, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ზესტაფონის ქარხნის აგებისა და მისთვის კვალიფიკიური მუშებისა და სპეციალისტების კადრების აღზრდაში. აქ მომზადდა ქართველი ახალგაზრდა მეტალურგი ინჟინრებისა და მუშების პირველი კადრები, რომლებიც ზესტაფონის ქარხნის მშენებლობასა და შემდგომ ამ მუშაობას ჩაუდგნენ სათავეში. ეს ჯგუფი უმღვებოდა საქართველოში ფეროშენადნობათა წარმოების ორგანიზაციას და განვითარებას. 1930 წლის 21 ივნისს დიდუბის ქარხანამ პირველი შენადნობი გამოუშვა. ეს პირველი დღეა ქართული მეტალურგიის და არა მარტო ქართული, არამედ საბჭოთა კავშირის მეტალურგიის ისტორიაში, როდესაც პირველი ფეროშენადნობი მიღეს საბჭოთა სპეციალისტებს მიერ დაპროექტებულ და აშენებულ ელექტროღუმელში.

დიდუბის ქარხანაში ხანგრძლივად ჩატარებული კვლევითი დნობები მეტად მდიდარი და ნაყოფიერი გამოდგა. ამ ცდების შედეგად ზესტაფონის მომავალი ქარხნის მშენებლობის პროექტში, რომელიც საზღვარგარეთის ფირმამ „სიმენსკ-გალსკომ“ შეადგინა, მთელი რიგი კორექტივები იქნა შეტანილი. ამასთან ცდებმა დიდი პრაქტიკული მასალა დაუგროვა ქართველ ახალგაზრდა მეტალურგებს ქარხანაში საწარმოო პროცესების ადვილად ათვისებაში.

თბილისის საცდელ ქარხანაში წრთობის პირველი სკოლა გაიარეს და დავაჟაცდნენ პროფესორ გ. ნიკოლაძის ზემოთდასახელებულ მოწაფეთა გარდა, ირაკლი ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ხვიჩია, თამარ ახობაძე და სხვები, რომლებიც შემდეგ ზესტაფონის ქარხანაში დიდხანს მუშაობდნენ.

პირველი მეტალურგიული ნათლობა დიდუბეში მიიღეს აგრეთვე მუშა მეტალურგებმა: ვლადიმერ სალაძემ, შეიდგომში გამოჩენილმა სამეფურნეო ხელმძღვანელმა) რომან მამალაძემ, ბაგრატ მელქაძემ, გრიგოლ კიკნაძემ, ვასო ხუჯაძემ, ვლადიმერ გვალიამ და სხვებმა. ესენი არიან პირველი მეტალურგები, რომლებიც სტახანოვური მოძრაობის სათავეებთან იდგნენ.

სიამაყის გრძნობით ვიგონებთ ჩვენ, მშენებლობის მონაწილენი

და რაიონის მშრომელები იმ დღეს, როცა ნახევარი საუკუნის წინათ საფუძველი ჩაეყარა რუსპუბლიკაში პირველ მეტალურგიულ საწარმოს. დიდი აღტაცება და კმაყოფილება გამოიწვია მაშინ ამ ამბავმა საქართველოს მშრომელებში. ხალხი დაიძახა რესპუბლიკის ყველა კუთხიდან, რათა მონაწილეობა მიეღო ფეროგიგანტის მშენებლობაში.

1933 წელი. ოქტომბერი. გაიმარჯვა მშენებელი მუშების, ინჟინრების, მემონტაჟეების დაძაბულმა და გმირულმა შრომამ, ნაყოფი გამოიღო რუსი და უკრაინელი სპეციალისტების ძმურმა დახმარებამ, დამთავრდა ქარხნის ძირითადი სადნობი საამქროსა და დამხმარე საამქროების მშენებლობა.

1933 წელი. 30 ოქტომბერი. 13 საათი და 37 წუთი.

ბევრისათვის და პირადად ჩემთვის ეს დღე მარად დაუვიწყარია, ბევრი კი ახლა ეცნობა ამ ღირსსახსოვარ თარიღს. იგი ნიშანსვეტია ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ამ დღეს მიიღეს ქართველი მეტალურგების მიერ გამოდნობილი პირველი ქართული სამრეწველო ლითონი.

პირველი ლითონის გამოშვებისთანავე ქარხნის კოლექტივმა მოსკოვში აფრინა დეპეშა ქვეყნის მძიმე მრეწველობის გამოჩენილი სარდლის გ. ორჯონიკიძის სახელზე, რომელიც პირველი ქართული ფეროშენადნობის გამოშვებას აუწყებდა.

ზესტაფონელ მეტალურგთა პირველი ლითონი საზეიმო ვითარებაში, ლოზუნგებით და პლაკატებით მორთული ვაგონით სარეკრად გაეგზავნა ბაქოს შმდტის სახელობის მატალურგიული ქარხნის მუშებს. 1933 წელსვე ზესტაფონის ქარხანა, როგორც საკავშირო მნიშვნელობის საწარმო, დაექვემდებარა საკავშირო ტრესტს — „სპეცფოლადს“.

ქარხნის ისტორიაში მუშაობია პირველი პერიოდი ყველაზე მძიმე და რთული იყო. ერთი მხრივ, ქარხნის მუშაობის, მეილი ტექნოლოგიის აწყობა, და, მეორე მხრივ, უცხოური ფირმის მიერ აგებული ელექტროღუმელების კომპლექტაციაში საჭირო მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა, ვინაიდან ზოგიერთი კვანძი მცდარად დაპროექტებული და დამონტაჟებული აღმოჩნდა. ფირმის წარმომადგენლებმა სწორად არ წარმართეს ტექნოლოგია, რის შედეგადაც ღუმელები მწყობრიდან გამოვიდა. ამის გამო მათ უარი განაცხადეს დნობის ხელმძღვანელობაზე და დატოვეს ქარხანა. ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს ჩვენმა ახალგაზრდა სპეციალისტებმა. ჩვენთვის ეს იყო ყამირი მეტალურგიაში. ქარხანაში შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფი, რომელიც პირველი დღეებიდანვე გულმოდგინედ შრომობდა ახალი შენადნობების ათვისებისა და არსებული ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის.

ამუშავებიდან მეორე წლის ბოლომდე საწარმომ უკვე ათვისა ოთხნაირი ფეროშენადნობის წარმოება. 1936 წლიდან, ჩვენში მეტალურგიის განვითარების მოთხოვნილების შესაბამისად დაიწყო ქარხნის პროფილის შეცვლა და მრავალი შენადნობის ათვისება. ამ გარემოებამ გამოიწვია „ფეროშენადნუმის ქარხნის“ სახელწოდების შეცვლა „ფეროშენადნობთა ქარხანად“.

დიდი სამამულო ომის უმძიმეს წლებში ქარხნის მუშები, ტექნიკური პერსონალი, ყველა მშრომელი ერთსულოვნად იბრძოდნენ პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულებისათვის. ქარხნის კოლექტივმა პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე. თავისი არსებობის პერიოდში ათვისა და დაამუშავა 35-მდე შენადნობის კექტროლოგია და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის ფეროშენადნობთა მეტალურგიის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში, მრავალი ბრწყინვალე ფეოცლით გაამდიდრა საბჭოთა საქართველოს მრეწველობის მრავალმხრივი ისტორია.

ტექნიკური პროგრესის გზაზე კოლექტივის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოქმედებითი მიღწევაა „მანგანუმიან შენადნობთა ახალი ტექნოლოგიის შეკრული ციკლის“ შემუშავება და დანერგვა, რომელსაც ახლა ფართოდ იყენებენ მსოფლიო მეტალურგიაში. ამ სიახლისათვის ინჟინერთა ჯგუფს (ი. კეკელიძე, ვლ. მელაძე, ი. ლორთქიფანიძე, გრ. შათირიშვილი, დ. ჩიკაშუა, ლ. მაღლაკელიძე) საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. პირველად საბჭოთა კავშირში — ამერიკის შემდეგ — ზესტაფონში საწარმოო პირობებში ელექტროლიზის გზით აკადემიკოს რ. აგლაძის ავტორობით მიიღეს და ათვისეს დიდად ხალასი ლითონური მანგანუმი. მის ავტორს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. სამოციან წლებში მსოფლიოში პირველად ზესტაფონის ქარხანაში დანერგა ფეროშენადნობების ჩამოსხმის პროგრესული მეთოდი, რომელმაც შეაცვალა წარმოება. შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირში აგებულიყო ყველაზე დიდი სიმძლავრის ელექტროღუმელები, რამაც მკვეთრად გაზარდა პროდუქციის გამოშვება, მასთან აღმოიფხვრა მძიმე ხელის შრომა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. საყურადღებოა, რომ ზესტაფონელი მეტალურგები გახდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში ფეროშენადნობთა წარმოების ორგანიზაციის მთავარი დამამზარნენი და კონსულტანტები.

[illegible] სიამოვნებით ვიგონებ [illegible] ერ- [illegible] ნა. ახლა ფერომანგანუმის [illegible] ... ფეროშენადნობთა [illegible] ... ორგანიზაციის [illegible] ... ინჟინერ-[illegible] ... ინჟინერ-[illegible] ... ინჟინერ-[

აზრი გზას იკვლევს

მეცნიერის პროგნოზები

გეოქიმია არის მეცნიერება დედამიწის ქერქში სხვადასხვა ქიმიური ელემენტის განაწილებისა და მიგრაციის შესახებ. მის მიღწევებს ემყარება სასარგებლო წიაღისეულის ძიების გეოქიმიური მეთოდები. ეს მეთოდები ხშირად ეხმარება გეოლოგებს ძვირფასი მინერალური ნედლეულის საბადოები აღმოაჩინონ იქ, სადაც იგი თითქოს არ მოიპოვება. საქინფორმის კორესპონდენტმა კ. ცხომლიძემ სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა ძიების გეოქიმიური მეთოდების დამუშავებისა და გამოყენების დარგის საქართველოს ორ წამყვან სპეციალისტს გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერების კანდიდატებს დ. ნადარეიშვილსა და ბ. სუდოვს სთხოვა ეამბნათ ზოგიერთი სამუშაოს შესახებ, რომელსაც ასრულებენ საქართველოს ტერიტორიაზე კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მეცნიერები.

ქვებმა გვაუწყა

გეოლოგების მიერ აღმოჩენილი მთის ქანების ნიმუშები, რომლებმაც თითქოს ყველფერი გვაუწყეს საკუთარ თავზე, სინამდვილეში კიდევ ბევრ სასარგებლო ინფორმაციას შეიცავენ, კერძოდ, ისინი დაეხმარნენ წიაღის მზეერავთ გაეშიფრათ დედამიწის სიღრმეში არსებული ბევრი მინერალური სამდიდრო საიდუმლო, რომლებიც მანამდე უცნობი იყო. მათ დაადგინეს, რომ მთის ქანების ნიმუშებში სხვადასხვა ქიმიური ელემენტების განაწილების კანონზომიერების შესწავლისას მტკიცედ შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ წიაღში მადნეულის საბადოების არა მარტო არსებობა, არამედ ზუსტად განსაზღვროთ, რა სიღრმეზე მდებარეობენ ისინი და რა ფართობი უკავიათ. ასე აღმოაჩინეს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში სამთამადნო საწარმოების მინერალური ნედლეულის ბაზის გაფართოებისათვის პერსპექტიული მთელი რიგი ახალი უბნები.

ინფორმაციას გვაწვდის ნიადაგი

მაგრამ რა უნდა ვქნათ, თუ საბადო ნიადაგის სქელი ფენითაა დაფარული? ამ შემთხვევაში დიდ სიღრმეზე მადნის საბადოების არსებობის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ასევე ქიმიური ელემენტების განაწილების მიხედვით, ოღონდ უკვე თვით ნიადაგშია, დაადგინეს გეოქიმიკოსებმა. სპეციალისტებმა სხვადასხვა გეოქიმიური მეთოდით გააანალიზეს ნიადაგის გუნდა ან მისი ცალკეული შემადგენელი და ისწავლეს ზუსტი ინფორმაციის მიღება თვით დიდ სიღრმეებზე არსებული მადნის საბადოების შესახებ. ეს დაადასტურეს გეოლოგთა სძიებო სამუშაოებმა, რომლებიც გეოქიმიკოსთა რჩევით განხორციელდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში.

დედამიწის სისხლის კვლევა

გეოქიმიკოსები წყაროს წყალს „დედამიწის სისხლს“ უწოდებენ. მისი შემადგენლობის დადგენისას მეცნიერებმა ისწავლეს მიღებული გეოქიმიკური მონაცემების მიხედვით იმსჯელონ სხვადასხვა სახეობის სასარგებლო წიაღისეულის არსებობის შესახებ. დადგინდა, რომ წყალს ზედაპირზე ამოსვლის დროს მთის ქანების სხვადასხვა ფენის გადალახვა უხდება და ამ პროცესში იგი ქანების შემადგენელი ქიმიური ელემენტებით მდიდრდება. ამგვარად საქართველოს ტერიტორიაზე უკვე გამოვლინდა მთელი რიგი მადნეულით მდიდარი პერსპექტიული ზონა.

მაგრამ ნიადაგი არც ისე იოლად გვამცნობს თავის საიდუმლოს. წვიმების, თოვლისა და მყინვარების დნობის დროს იცვლება დედამიწის „სისხლში“ ქიმიური ელემენტების კონცენტრაცია. კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ წყაროს წყალში ქიმიური ელემენტების კონცენტრაციის შეცვლის რეჟიმის შესწავლით ზუსტად შეიძლება ნიადაგში მადნის საბადოების ადგილსამყოფელის დადგენა.

(საქინფორმი).

საგაზაფხულო ფოტოობიექტივი



მოლოდინი და ლტოლვა — ასე ვუწოდეთ პირობითად ამ სამ ფოტოსურათს, სადაც ადამიანები ხეებთან ერთად სიცოცხლისა და სიყვარულისაკენ ილტვიან.

ს. ედიშერაშვილისა და **ი. ჭოხონელიძის** ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



პოეზიას არა აქვს საზღვარი

სტუდენტებს გამოგვიცხადეს, ახალგაზრდა ინგლისელი პოეტი კევინ ქროსლი-ჰოლანდი გვესტუმრაო, და ჩვენც მის შესახვედრად გავეშურეთ. იგი ცოტა ხანს გვესაუბრა. მახსოვს, რაღაც შეკითხვა დავუსვი. ძალიან ვღელავდი.

მას შემდეგ ბარე ათმა წელიწადმა განვლო და ამჯერად უკვე ცნობილ პოეტსა და ლიტერატორს კევინ ქროსლი-ჰოლანდს ლონდონში ვხვდები.

კევინ ქროსლი-ჰოლანდმა დიდი წვლილი შეიტანა ვენერა ურუშაძის მიერ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის ინგლისური თარგმანის რედაქტირების საქმეში და იგი რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოში იყო მოწვეული. საქართველოდან წასვლისას მას დიდ შთაბეჭდილებებთან ერთად ქართველი კლასიკოსების ზოგიერთი ლექსის ბწკარედიც წაუღია.

ყოველივე ამას ახლა ვიხსენებთ... შეხვედრებს, საერთო ნაცნობებს. მისტერ ქროსლი-ჰოლანდი დიდი აღფრთოვანებით ლაპარაკობს ვენერა ურუშაძის თარგმანის შესახებ. კვლავ საქართველოს უბრუნდება.

— იცით, — მეუბნება იგი, — მალე ალბათ ჩემი კიდევ ერთი პოეტური კრებული გამოვა და შიგ ერთი თარგმანი შევიტანე, თქვენი სახელოვანი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

— რომელი ლექსისა? — ვკითხები პოეტს.

— „ჩინარი“, — მიპასუხებს იგი.

რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ შევხვდი კევინ ქროსლი-ჰოლანდს, ამჯერად მის სახლში გრინიჩის მახლობლად. ვეუბნები, რომ მისი თარგმანი მომეწონა, მაგრამ ეურჩევ ერთი სიტყვა შეცვალოს. საქმე ის არის, რომ ბწკარედის ავტორს, რაღაც მოსაზრებით, „მტკვარი“ — „ეურად“ მიუწოდებია. ვუხსნი მთარგმნელს, რომ „ეურა“ თურქულია, ხოლო ქართულად მტკვარია-მეთქი. კევინი მადლობას მიხდის.

და აი კევინ ქროსლი-ჰოლანდის წიგნი გამოვიდა. ეფიქრობ, ქართული ლიტერატურისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის თუნდაც ერთი ლექსის კიდევ ერთი თარგმანიც შენაძენია.

ზ. გაჩეჩილაძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

,,მცირე'' ეკრანის ფართო ჰორიზონტები

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელმაც განიხილა 1978 წელს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგები, კინოპუბლიცისტიკის დღევანდელობის შესახებ საინტერესო და ნაყოფიერი დისკუსიის ტრიბუნა გახდა.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის კინემატოგრაფიისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ე. შენგელაიამ.

მოხსენება გააკეთა გამგეობის მდივანმა ს. თუშმალიშვილმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს რეჟისორებმა, კინოდრამატურგებმა, კინოკრიტიკოსებმა, ოპერატორებმა.

პლენუმის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ქართულ ენაზე დუბლირებას, პლაკატსა და რეკლამას, ახალგაზრდა რეჟისორთა აღზრდას.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მოსკოვიდან, ბალტიისპირეთიდან, სომხეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა (საქინფორმი).

მესხვედრა 33 წლის შემდეგ

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე სამი წელი ერთად იბრძოდნენ ქართველი გიორგი სუთიძე და რუსი ვლადიმერ ბულატოვი. ისინი 1945 წელს დაშორდნენ ერთმანეთს.

წლების მანძილზე გაურკვეველი იყო, ვის რა ბედი ეწვია. მეგობრები ერთმანეთს დაეძებდნენ, პოლოს გიორგიმ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მეშვეობით კვალს მიაგნო, აღდგა მიმოწერა და აი დამამბილებელი ფორტუღალები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად ქალაქ ბორჯომში, სადაც გიორგი ცხოვრობს და მუშაობს.

ძნელია ამ ამაღელვებელი შეხვედრის აღწერა, მათ შეამჩნევდით ფარულ ცრემლს, დიდი სიხარულის ან მწუხარების ჟამს რომ მოადგება ხოლმე თვალზე კაცს. მეხსიერებაში გაცოცხლდა ბრძოლის გავლილი გზები, იმ ხეკაკცია სახეები, რომლებმაც სიცოცხლე ფრონტზე დაამთავრეს.

ლ. გოდერძიშვილი.

მიდამო კეთილმოაწყვეს

ჩხოროწყუ. „საქსახკომსოფლტაქნიკის“ რაიონული განყოფილების მუშაკებმა თავისი მიდამო კეთილმოაწყვეს; დარგეს მცენარეები, შეაკეთეს მისასვლელი გზა, გააფართოვეს ხუთგიდის ქუჩა, დადგეს ელექტროლამპიონები.

ბ. გოლუა.

ქალაქ ,,სპკოვნელაში''

თელავი. პიონერთა ქალაქ „საპოვნელაში“ უჩვეულო ფუსფუსი იდგა. რაიონის მშრომელები, პედაგოგები და მოსწავლეები შეხვდნენ გორის რაიონის ღვაწლმოსილ პედაგოგს, გოგებაშვილის მედლის კავალერს, სოციალისტური შრომის გმირს ნადია სამნიაშვილს.

ვ. კუტალაძე.

ნარკვევი

გაგრძელდის გარიჟრაჟი!..

ამ ნარკვევს ბიჭვინთაში ახლახან გამართულ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის რესპუბლიკურ სემინარზე გამოცხადებულ კონკურსში პირველი ადგილი მიეკუთვნა.

პირველად ასე ვიფიქრე, რომ კაცს, ვისაც ეს ამბავი ეხება, არ დავასახელებ. — ღმერთმა' დამიფაროს სხვის სულში ხელის ფათური — ვერ დავასახელებ იმიტომ, რომ ძნელი დასაჯერებელია ასეთი ადამიანის არსებობა, უფრო სწორად, ასეთი უცნაური ტკივილის, ასეთი დარდის ასე ჩუმად, ასე მარტო მოთმენა.

გარდა ამისა, მე ყველაფერი ეს აღსარებად მომაჩნია... იქნებ ეს ორ კაცს შორის დასამარხი ამბავი იყოს და არა საქვეყნოდ გამოსამზეურებელი და გამოსაკენებელი. ამ ამბის დაწერას გულშიც კი არ გავიკვლებდი, მაგრამ მიეხვდი, მოსაუბრე თანდათან როგორღაც ბრალმდებლად მექცა, თვითონ ვიგრძენი თავი დამნაშავედ! შე კაი კაცო, თუ მართლა ამ ქვეყნად იმიტომ მოვსულვართ, რომ სოფელზე უნდა ვიზრუნთო, უნდა გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი და „სხვისი წყლული გვაჩნდეს წყლულად“, მაშინ, როგორ მოხდა, რომ ბევრმა კაცის სახე დაკარგა, სრიცხვილ-ნამუსს შეელია, სიკეთე საფასურის გარეშე წარმოუდგენელი გახდა, კარგი—მდიდარმა შეცვალა და პატიოსნება — თვალმარგალიტმა! როცა ადამიანს ადამიანის უფულოდ დახმარებისა შეეშინდა, ჩემზე რას იტყვიანო!.. ჩვენ, ჩვენ რას ვშვრებოდით, სუფთა ხელება ადამიანები? თვალებზე ტყავფარებული ცხენივით მივყვებოდით გზას სამსახურამდე, მერე უკან გამოვყვებოდით, შევეელდით გასტრონომში, ერთ-ორ საყვედურის სიტყვას წავიბურტყუნებდით, ვეღოდით გასტროლებზე რიხტერის ჩამოსვლას და კინოს სახლში უცხოურ ფილმებზე ვნატრობდით ბილეთებს!.. მერე, ვინ იბრძოდა იმის წინააღმდეგ, „საქმის კაცის“ ახალი მოდელი რომ იქმნებოდა, რომელიც მხოლოდ ავიაზაკებმა და ხაზინის ქურდებმა მოირგეს. რწმენას საბლით დახრჩობა რომ მოუნდომეს, ფულით გასასნელს პატიოსნების ყულფი!...

სჯობს თავიდან მივყვეთ ამ კაცის ცხოვრებას...

ღმერთის იმედად დარჩენილ ჩვენი მბრის ნოე ნამგალაძის მამას, ორი გოგოს პატრონ რაჭველ გლეხს ეჭვიც არ ეპარებოდა ხნულში თესლის ჩამგდები, გვარის გამგრძელებელი ბიჭის გაჩენაში.

პურ-ღვინო გადანახული ჰქონდა და თოფი გატენილი!

— ბესარიონ! თოფს ლულაზე ობი არ მოეკიდოს, დაცალე, შე კაცო, შაშვებმა წვიღეს რაჭა ზეცაში! — ხუმრობდნენ სახლიკაცები.

გავარდა!.. თოფი გავარდა!

— აი დედასა, სოფელო, თუ არ შეგეხმიანე ყრუ ხარ... ბიჭი! ბიჭი! — გასძახა სოფელს მამამ.

ეს იყო 1923 წლის 19 მარტს. ხან „ქვედრული მოდიდებულ“ ისმოდა, ხან — „ჩვენი მასპინძლის მარანში“. რა სიმღერა არ თქვეს იმ დღეს რაჭველებმა, ვინ ბედი არ უსურვეს ახალშობილს. ვინ არ ახსენეს, აბელ ენუქიძე, შამშე ლეკვაკა... რა არ უსურვეს — პორტ-არტურში — თონე და ლავაშების ფრიალი, ქალაქში — სასახლე, სწავლა, სიმდიდრე...

პატიოსნებაზე, სიკეთეზე და მოძმის სიყვარულზე მაინც და მაინც ლაპარაკი არ ყოფილა, ეს მაშინ ყველას სამყოფად ჰქონდა...

ქართველი კაცი მართლა მარტო გურიაში კი არ ლაპარაკობს პოლიტიკაზე, რაჭა რომ რაჭაა, იქაც ყველამ იცის, რა ხდება ქვეყანაზე.

მაშინ ბევრმა არ იცოდა, რას მოიტანდა ახალი დროება, მაგრამ ყველფერს რომ სასიკეთო პირი უჭირდა, აშკარა იყო!... გამართლდა ხალხის ნათქვამი, სწავლა უფასო და ყველასათვის იქნებაო!.. გუშინ რომ ბიჭის დაბადებაზე თოფის სროლა და ბთქაბუთქი ატეხეს, ის ბიჭი დღეს ნაჭრის ჩანთით სკოლაში წავიდა! ისწავლა. ისწავლა კი არა, ისე ივარგა, ქუთაისში ჩავიდა და ინსტიტუტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე მოეწყო. ეს იყო სიხარულის და ბედნიერების, ცოტა შიმშილის და დიდი იმედების და სიყვარულის წლები.

... ქუთაისი. ბაღის კიდე. კინო „კომუნა“. ლადო ასათიანის ციფერი ჯიფე. ჯაჭვის ხიდი. ჭომა და რაჭის გზა... მერე შინდან ჩამოტანილი საგზალი, სტუდენტური ჰურ-მარილი... და ერთი ჩვეულებრივი სადღეგრძელო, რომელმაც მალე სულ სხვა შინაარსი მიიღო, ეს იყო სამშობლოს სადღეგრძელო. მაშინ ამ სადღეგრძელოში ყველა თავის კუთხეს, სოფელს, ეზო-გარემოს გულისხმობდა. უხაროდა, რომ ადღეგრძელებდნენ იმას, რაც ესოდენ საყვარელი და ახლობელი იყო მისთვის. ასე აპყავა ახალგაზრდა ბიოლოგიის მასწავლებელს სამშობლოს სადღეგრძელო, ასე დაუბრუნდა სკოლას გუშინდელი მოწაფე პედაგოგად, ასე იქცა იგი სოფლის საყვარელ და პატივსაცემ კაცად...

ვისაც ომის დაწყება ახსოვს, დამეთანხმება, სულაც არ დაწყებულა იგი ისე, როგორც ამას ახლა კინორეჟისორები იღებენ. ჯერ ერთი, კინოში ომის დაწყებას ყოველთვის კატასტროფის გამომხატველი მუსიკა ახლავს... სინამდვილეში ომი ქართულ სოფელში სამარისებური სიჩუმით დაიწყო, თითქოს გაწყდა, თითქოს სადღაც წავიდა სოფელი!... პირველი „შავი ქაღალდის“ მოსვლამდე ხმა არავის გაუღია.

... გულმა აღარ დააყენა სოფელში ბიოლოგიის მასწავლებელი, მოხალისედ მიადგა სახელდრო კომისარიატს.

მოხალისე ყველა ჩვენგანს მხნე და ხალისიან კაცად წარმოგვიდგენია. ის კი საოცრად მორიდებული და ჩუმი ბიჭი, ძლივს შევიდა კომისართან... უარი უთხრეს! მეორედ მივიდა, მერე მესამედ და... კაკაასიის ფრონტზე მოხვდა. ხშირად იხსენებდა სტუდენტობის დროს წარმოთქმულ სადღეგრძელოს და ფიქრობდა — თურმე რა დიდი, რა ვრცელი და უკიდეგანო ყოფილაო სამშობლო.

ომში მეტყვიამფრქვეველ იყო. იომა პატიოსნად, როგორც ესმოდა და როგორც შეეძლო... დაიჭრა, სისხლი დაღვარა.

თვითონ ასე თქვა (ჩაგიწერე სიტყვა-სიტყვით!).

— დაბადება არ მახსოვს... სიკვდილს კი მოგეხსენებათ, ვერ დავიმახსოვრებთ, მაგრამ ყველაზე დიდი ღელე ჩემს ცხოვრებაში 1943 წლის 15 აგვისტო იყო. ამ დღეს მიმიღეს პარტიაში. ვინც ფრონტზე გახდა პარტიის წევრი, ვინც სანგრის მოზიარის რეკომენდაციით არის შესული პარტიაში, დამიდასტურებს, რომ იგი დაბადებისა და სიკვდილის დღესავით მნიშვნელოვანია.

მაშინ ბევრი წერდა განცხადებას. მაშინ რწმენაც სხვა იყო და გულიც. რამდენი ამხანაგის ტყვიით გახვრეტილი პარტბილეთი სასოებით უტარებიათ ერთხანს ბიჭებს!

მოისრა მტერი. დამთავრდა ომი და ისიც სოფელში დაბრუნდა და... ბევრის გასაკვირად თბილისს სამედიცინო ინსტიტუტს მიაშურა. ომგადახდილი, თვალში დაჭრილი, კავკასიის დამცველი, კომუნისტი, პროფესიით ბიოლოგი. რა დაუდგებოდა წინ! მოინდომა და გამოიცდები იოლად ჩაბარა.

ისევ სოფელში დაბრუნდა, ოჯახს მოეკიდა, მერე ქალაქში გადმოვიდა, ექიმის მძიმე და ძნელი საქმე იკისრა... მიდიოდა დღეები, წლები... თავგადასავალს, წარსულს ერთი-ორად ედებოდა ფასი.

დრო და დრო სხვებთან ერთად ისიც იტყოდა ხოლმე, ხალხი აიკრა, ტყეული და ხაზინის ქურდობა გახშირდაო... სამაგიეროდ აშენდა დიდი სახლები და აგარაკები, გაჩნდა ავტომანქანები, სამკაულები... ბრილიანტის ციაგმა ბევრს ჯერ მოსტაცა, შემდეგ კი დაუყენა თვალი!

1962 წლის 15 აგვისტოს კანონიც გამოვიდა ერთი: „არა შრომით შეძენილი სახლებისა და აგარაკების ჩამორთმევის შესახებ“... რას ნიშნავს არაშრომითი შემოსავალი? — ქურდობას?

ექიმი კარგად ხედავდა და გრძნობდა, რაც ხდებოდა ირგვლივ, მაგრამ როგორც ბევრი ჩვენთაგანი, მალე შეეჩვია ყველფერს. ცხოვრობდა მშვიდად და თვითდინებით, ვიდრე...

ერთ დილას ნათესავმა მიუკაკუნა. კარი თვითონ გაუღო. კარგა ხანია ეს კაცი ღარ ენახა.

თავი რომ არ შეგაწყინოთ მკითხველო, გამოორკვა, რომ იმ კაცს ქალიშვილი ჰყოლია უმაღლეს სასწავლებელში მოსაწყობი, ნათესავ-მეგობრებთან ჩამოვლაზე იყო... ფულით ნუ დამზოგავთ, რასაც იტყვიან მივცემ, ოღონდ, კაცი, კაცი მაპოვნინა ვინმეო.

შეუმჩნევლად ჭაობში ფეხშედგმულ ჩვენ გმირს, ასეთი „მეგობარი“ აღმოაჩნდა. მალე მოლაპარაკებაც გაიმართა და ერთის მოტანილი ფული მეორეს გადასცა, იმ მეორემ მესამეს და... 15 ათას მანეთად ერთი ბატისტვინა სამედიცინო ინსტიტუტის მიღებულთა სიაში აღმოჩნდა!..

ასე იყო თუ ისე, ცდუნებასა და დროს აყოლილ კაცს ერთი წელი მიუსაჯეს...

როცა ციხის კარი მიუხურეს, მაშინ მიხვდა, რომ მისი ნამდვილი სიცოცხლის კარიც სამუდამოდ დაიხშა. კაცობა, ღირსება, წარსული ცხოვრება, ასე მისხალ-მისხალ რომ აგროვებდა და აშენებდა, ერთი ხელის მოსმით დაიქცა და დაიშალა, დაიღუპა ყველაფერი!...

წარსული წაიშალა, მომავალი მოისპო!.. ასე გაიარა ამ საუკუნე-წელიწადმა.

ახლა, როცა ის კარი უკან მოუხურეს და ქუჩაში აღმოჩნდა, დაიბნა, მოეჩვენა, რომ ყველამ იცოდა მისი უბედურება.

მძიმედ მიდიოდა მაღალი, გატეხილი, სამოცსმიღწეული სათვალიანი კაცი და ფიქრი, მხუთავი ფიქრი უქრობდა იმედის საბერველს, თითქოს აღარაფერი იყო მის გარშემო, თითქოს სიხარული, ახლა კი არა, საერთოდ, არსებული, არც უგრძვნია და არც გაუცდია, ან არსებობდა კი ოდესმე? ახლა იგი არავისათვის აღარ არის საჭირო, არც შვილებისათვის, არც ახლობლებისათვის... იქნებ სულაც სჯობდეს...

ტყვიის წვიმაში გამობრმმედილმა კაცმა ეს ფიქრი როგორ უნდა გაიკლოს გულში, მაგრამ... იქნებ, ზოგჯერ, ამ ქვეყნიდან წასვლაც ხსნა იყოს, ერთგვარი, ჰა!..

— რა ვარ ახლა მე? — ფიქრობდა მაღალი კაცი.— რა არის ახლა ჩემი ცხოვრება?..

კაკაი ბელიაშვილი სადღაც წერს, რომ კაცი მიდიოდა, რომელსაც „დაღლილი ბიჭები“ ჰქონდაო. იმ კაცსაც, რომელიც დღეს სხვა ცხოვრებას იწყებდა, მართლაც „დაღლილი ბიჭები“ ჰქონდა.

... როცა სამსახურში გააგზავნეს, წყვდიადში შორს ციცინათელასათვის, რომ მოუკრავს თვალი, ისე გამოაბჟუტა იმედმა! საავიაციო-სამედიცინო სამსახურში გაამწესეს. ეს იყო „სულის პირველი რეაბილიტაცია“. შრომა ყველა დროში ანეჭებდა ადამიანს ბედნიერებას, სწორედ ამის უგულებელყოფამ მოუტანა უბედურება მათ, ვისაც შრომა მარტო შემოსავლის წყაროდ მიაჩნია, ამან დაუკარგა სახე ზოგიერთს, გააძუნწა და გაახარბა, ათი ლუკმა თუ არ მოიპარა, ერთს არავის უზიარებს.

„ლუკმას იყოფდნენო“ ძმობის ნიშნად, ამბობდა ჩვენი ხალხი. ახლა ვინ წარმოთქვამს ამ ფრაზას ისე, რომ მის მიღმა მათხოვრები არ იგულისხმოს?

— მე რა ხმა მაქვს ამოსაღები... მაგრამ იცოდეთ, ყველა ხართ ჩემი თანამონაწილე... მე ხომ ნაწილი ვარ თქვენი... ახლა ყველამ დაიბანეთ, არა ხელი?.. ედავებოდა იგი თავის მეორე „მეს“.

— მომხედეთ, ვინმემ მომხედეთ, „თქვენ სისხლსა და ხორცს“. ასე უწარსულოდ როგორ ვიცხოვრო? რა ვუყო ამ დღეებს? გუშინ ფრონტელ ამხანაგს მოვკარი თვალი და დავემალე... რა ვუყო ახლა იმ პარტიულ რეკომენდაციებს, მოხალისეს, რომ მომცეს ცეცხლის ხაზზე.. წყალში გადაყყარო ყველაფერი, ხომ? ესე იგი აღარ ვარ, აღარ ვარსებობ... წაიკითხე, იმ დღეს ლენინი „კომუნისტში“, რა ეწერა, პარტიაზე? „დაქირავებული ჯარისკაცებით არასოდეს გიომიაო“... რამდენჯერ მითქვამს მეც ეს... შენ ხომ ხარ მოწმე? რომ პარტია ზოგს ხელის მოსათბობად უნდა, სახლ-კარისა და ეზო-გარემოს მოსაწყობად, თავისთვის, თავის წილად უნდა... მითხარი ახლა შენ, მე დამნაშავე, უფლებაყარილი, უპარტიო უნდა ვიყო და ლენტერა საწყობის გამგე სამ აბაზს უნდა იხდიდეს საწევროს, ხომ?

გაჩუმდი, თუ კაცი ხარ... ვითომ არ იცი, რომ ზოგისთვის პარტბილეთი შირმაა დირექტორის სკამისათვის ბრძოლაში, ზოგისთვის — მყუდრო თავშესაფარი!

— შენ ახლა გახდი სამართლიანობის მქადაგებელი?

— კი! — წამოიყვირა მან...

— ვერ ეხვდები, რა გინდა შენ... არ გადამრეო, პარტიის კარი ხომ არ გინდა გაგიღოთ, ბატონო!

— ღმერთი ნუ მომკლავს უპარტიოს!

აქ კი გაშრა, ის „მეორე მე“, გაშრა, ხმა ვერ ამოიღო. თვითონაც ვერ მიხვდა, რატომ დაზოგა, რატომ შეიცოდა მოსაუბრე. ერთი კი თქვა: ალბათ, ღმერთს ასეთი მთხოვნელი ჯერ არასდროს მისვლიაო!

და დასძინა: — სულ დაგიკარგავს ჩკუა. შენი ხნის კაცს, რად გინდა, კაცო, ახლა პარტია!

— ა!.. მაგას ველოდი!... დაგიჭირე, ხომ?.. სად წამბრალ ახლა... ეგ არის საქმე. შენც ასე ფიქრობ, არა? როგორც ზოგიერთი, რომ მინდა, ხომ... აწი დაწინაურება მე არ მჭირდება, თანამდებობას მე არ ველი, შემოსავალი არ მომემატება, რიგს არსად დამითმობენ და პენსიას არ გამიზრდიან? ხომ?.. ა, სწორედ მაგან დაღუპა, საქმე და მიც მაგან დამღუპა!.. რახან ერთი შემეშალა, ამიტომ ვერც შრომით, ვერც დაღვრილი სისხლით, ვერც მოთმინებით და აღსარებით ვერ დავიმსახურებ ხომ?.. თქვი... რას გაჩუმებულხარ?..

— არ ვიცი, მომეშვი... — ძლივს გამოსცრა მეორე „მემ“.

— არ ხარ მართალი! — იყვირა მან. — მე არავისგან არაფერს ვითხოვ... მაგრამ იცოდე, ვინც პატიება არ იცის, იმან არც სიყვარული იცის. ეს იცოდეს ყველამ.

— ერთი მითხარი, ბუ ვაქკაცი ხარ, ვთქვათ, გაწყარა ღმერთი და ატყდა ომი, თუ წახვალ ისევ მოხალისედ? — ჰკითხა უცბად „მეორემ“.

— ახლა? — თითქოს დაიბნაო, გაიმეორა მან.

— ხო, ახლა!

— მაინც წავალ!...

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ კი თითქოს კვლავ გაისმა: „შენ არასოდეს არ გიბრძოლია დაქირავებული ჯარისკაცებით!“

დასტურ!

წამოდგა, თითქოს უხილავ მოკამათეს გაერიდა, ფანჯარასთან მივიდა. ქუჩა ცარიელი იყო და უზარმაზარ ასფალტის ფარდაგს ჰგავდა, თენდებოდა... აი, დედასა!.. ნეტა ომი დაიწყებოდეს!..

...ეს მართლა ომის ნატვრა კი არ იყო, ეს იყო ცხოვრების თავიდან დაწყების წყურვილი!..

რ. დვალიშვილი.

ფიზიკოსი

15 აპრილი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ნიკო კეცხოველი“, 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა (ფ.), 10.30 — მოლვიძარა (მ.), 11.00 — ცეროდენას ეკრანი (ქართულ ენაზე), 11.20 — ტელეკურსელიათვის — ქართული ენა (ფ.), 11.50 — ქართული სადღესასწაულო დოკუმენტური ფილმი — „ნიკო მუსხელიშვილი“, 12.00 — „სტუმრად ზღაპართან“ — გერმანული მხატვრული ფილმი „ოქროს ბაგი“ (მ.), 13.30 — კინოაფიშა, 14.00 — მოსწავლეთათვის — „ნორჩ წიგნისმოყვარულთა კლუბი“, 14.30 — მუსიკალური კონსერტი (მ.), 15.00 — დღეს საბჭოთა მეცნიერების დღეა (მ.), 15.45 — მსოფლიოს ქალაქებზეუფლებები (ფ.), 16.15 — „ულტიმატიუმი“ ფილმი (ფ.), 16.25 — „ჩვენი სოფელი“ — სატელევიზიო პროგრამა, 17.10 — საერთაშორისო პანორამა (მ.), 17.55 — კინოს მოყვარულთათვის, 18.55 — როგორია თქვენი აზრი (ფ.), 19.25 — მუსიკალური ფილმების საგელევიზიო ფესტივალი — „სიმღერა ეკრანზე“. ქართული მხატვრული ფილმი „ქეთო და კოტე“, 20.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. (ფ.), 21.25 — „თქვენი თხოვნით“ — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში: კანადისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები (მ.).

მეორე პროგრამით

17.00 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“. მხატვრული ფილმი „სპორტი, სპორტი, სპორტი“, 18.25 — კონცერტი, 19.05 — საგელევიზიო სპექტაკლი „ირკუფსკის ისტორია“ (პირველი-მეორე ნაწილი).

თეატრი

15 აპრილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — მიზეული (დღისით), **დაისი** (საღამოს); **შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ჟუანბიკის მარგალიტოვა** (დღისით), **მეუფეცა ყაენდიადისა** (საღამოს); **მეირე დარბაზი — ჩემო კალამო**; **კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — დიდი იმედები** (საღამოს); **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — თეძრი კაბა** (დღისით), **ზარი ზიდის დედისერთა** (საღამოს); **მინიატიურების სახელმწიფო — ეფემაკის კუდი**; **მეგზეის თეატრი — ბანკიოსანი დღე**; **კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — ქარაბს ბზანაზეანი.**

ღიმილი



იოლად გამოვიდა... ა. ერაძის ნახატი.

ერთიანი პიკვლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ. ჭაჭაია

ყაბალი

რიგით 71-ე

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურის კიდევ ერთი შეხვედრა: ამჯერად ითამაშეს მოსკოვის „სპარტაკმა“ და ტაშკენტის „ფახთაქორმა“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1.

მკითხველმა უკვე იცის, რომ დღეს ამ ტურის ექვსი შეხვედრა მოეწყობა. თბილისის „დინამო“ კვლავ სტუმრად თამაშობს. ამჯერად დინამოელები ზენიტელებთან ისასპარეზებენ. **აქამდე ეს გუნდები საკავშირო ჩემპიონატებში ერთმანეთს 70-ჯერ შეხვდნენ. აქედან თბილისელებმა 35 მატჩი მოიგეს, 19 ფრედ დაამთავრეს და 16 შეხვედრა წააგეს. ბურთების შეფარდება 125:81 დინამოელთა სასარგებლოდ. აღსანიშნავია ისიც, რომ ლენინგრადელებმა მასპინძლად უკანასკნელ წლებში გამართული 7 მატჩიდან 5 მოიგეს, 1 ფრედ დაამთავრეს და მხოლოდ 1 მატჩი წააგეს.** ვნახოთ, როგორ წარიმართება თბილისელთა და ლენინგრადელთა რიგით 71-ე შეხვედრა.

მატჩი ქუთაისში

გუშინ ქუთაისში გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობის მეხუთე ტურის მატჩი. ქუთაისის „ტორპედომ“ მიიღო ვორონეჟის „ფაკელი“. გაიმარჯვა „ტორპედომ“ ანგარიშით 2:1. ქუთაისელთაგან ბურთები გაიტანეს ფარულავამ და ა. კვერნაძემ.

ისრები — მიზანში

თბილისში გრძელდება უძველესი ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის შეჯიბრება. სპორტსმენებმა უკვე განვლეს პირველი